სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება
N 2288/163

ქ. თბილისი

12 ნოემბერი 2013 წ.

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმომადგენელი მინისტრის პირველი მოადგილე გოგი ფაცაციას სახით და შპს "ფოტოსამყარო" (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმომადგენელი საზოგადოების დირექტორი მიხეილ ჭოხონელიძის სახით მეორეს მხრივ, (შემდგომში - მხარეები) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომში „შემსყიდველი") - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. მიმწოდებელი ორგანიზაცია (შემდგომში „მიმწოდებელი") - ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამინისტოს ცენტრალური აპარატის საჭიროებისათვის **დანართი N1** გათვალისწინებული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით შემსყიდველისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

2.2. დანართი N 1 (ერთი ფურცელი) წარმოადგენი წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3. CPV კოდი - 22300000 – "ღია ბარათები, მისალოცი ბარათები და სხვა ნაბეჭდი მასალა".; (CPV კოდი - 22312000 - ,,სურათები").

2.4. წინამდებარე ხელშეკრულება იდება, ,,გამარტივებული შესყიდვის" საფუძველზე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მოხსენებითი ბარათის N06/03-09-13098 (29.10.2013) და შპს ,,ფოტოსამყაროს" მიერ წარმოდგენილი ინვოისის 01.11.13 მოთხოვნების თანახმად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **75,10** (სამოცდათხუთმეტი ლარი და 10 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა შესაბამისი გადასახდელების გათვალისწინებით;

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი გაზრდა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია;

3.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ხელშეკრულების პირობებში მითითებულ შემთხვევებში და ზომით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან (შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე და დროულობაზე, პასუხს აგებს და სრულად უნაზღაურებს „შემსყიდველს" მისთვის მიყენებულ ზარალს;

4.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდებისას გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღემდე ვადაში;

4.3. „მიმწოდებელი" პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისიწნებული გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა შესაბამისი გადასახდელების დროულად გადახდაზე;

4.4. „შემსყიდველი" ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი და შესრულებული ვალდებულებები აანაზღაუროს სრულად;

4.5. "შემსყიდველი" არ აგებს პასუხს "მიმწოდებლის" მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე, მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე ან/და ზარალზე.

მუხლი 5. საქონლის მოწოდების ადგილი

საქონლის მოწოდების ადგილია: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა

მუხლი 6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად (მიწოდებულად) მხოლოდ შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები და წესი ასახულია ხელშეკრულების პირობებში;

6.3. შემსყიდველი მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს წარმომადგენელი.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს საქონლის შესყიდვის მიმდინარეობის შესაბამისობის შემოწმება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

7.2. „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობის ინსპექტირებას განახორციელებს, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;

7.3. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაშვებული უზუსტობის მიზეზების მითითებით. ამასთან, გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება მაღალხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

8.2. მისაწოდებელი საქონლის საქონლის ქარხნული ნაკლოვანებების დადასტურებისას, მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს მისთვის მიყენებული ზარალი და ჩაანაცვლოს დაზიანებული საქონელი ანალოგიური მახასიათებლების მქონე საქონლით.

მუხლი 9. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

9.1. ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი), უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით;

9.3. მიწოდებული საქონლის ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში;

9.3. ანგარიშსწორების ადგილია ქალაქი თბილისი.

მუხლი 10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დაფიქსირებული საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი გაზრდა დაუშვებელია;

10.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს. ამავე დროს, „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების (საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

მუხლი 14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისთვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

14.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების წარდგენის გარეშე, შეწყვიტოს ან შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

მუხლი 15. ხელშეკრულებიდან გასვლა

15.1. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

15.2. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება ეს ხელშეკრულება და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;

15.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან შემსყიდველის ვადაზე ადრე გასვლის შემთხვევაში, „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებლობა.

მუხლი 16. დავების გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარებენ მათ შორის წარმოქმნილ ნებისმიერ უთანხმოებას და დავას, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. საქონლის მოწოდების პერიოდი

საქონლის მიწოდების პერიოდად დადგენილია ვადა - წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 19. სხვა პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 20. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	**შპს "ფოტოსამყარო"**
ს. კოდი 200037646	საიდენტიფიკაციო კოდი 204 435 511
მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა	მის: ქ. თბილისის მელიქიშვილის ქ N 6
ტელ: 2 31 15 80	ტელ: 932198; 997404.
სახელმწიფო ხაზინა	ელ.ფოსტა WWW.PHOTOWORLD.GE
ბ. კოდი 220101222	საბანკო რეკვიზიტები
ა/ა 200122900	საქართველოს ბანკი
	ბ.კოდი BAGAGE22
	ა/ა GE 38 BG 0000 000 11 98 18 600

მინისტრის პირველი მოადგილე
გოგი ფაცაცია

საზოგადოების დირექტორი
მიხეილ ჭოხონელიძე

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების N2288/163 (12.11.2013) დანართი №1

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	CPV კოდი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
	სურათი (21*30)	22312000	ცალი	10	7,51	75,10
					სულ:	75,10

შემსყიდველი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
ს. კოდი 200037646
მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა
ტელ: 2 31 15 80
სახელმწიფო ხაზინა
ბ. კოდი 220101222
ა/ა 200122900

მიმწოდებელი:

შპს "ფოტოსამყარო"
საიდენტიფიკაციო კოდი 204 435 511
მის: ქ. თბილისის მელიქიშვილის ქ N 6
ტელ: 932198; 997404.
ელ.ფოსტა WWW.PHOTOWORLD.GE
საქართველოს ბანკი
ბ/კოდი BAGAGE22
ა/ა GE 38 BG 0000 000 11 98 18 600

მინისტრის პირველი მოადგილე
გოგი ფაცაცია

საზოგადოების დირექტორი
მიხეილ ჭოხონელიძე